აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება
სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 9 | 28 მარტი, 2017 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ (№09-01-08/24, 21.03.2017წ)

დასახელება	
უმაღლესი საბჭოს წევრი გია აბულაძე	**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო**
ავტორი	ინიციატორი
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია	
წამყვანი კომისია	
21.03.2017	**წამყვანი კომისია: 14,04,2017-მდე** **სხვა კომისიები: 11,04,2017-მდე**	**პლენარული სხდომა**
შემოსვლის თარიღი	განხილვის ვადა	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

კომისია, რომლის დასკვნაც სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: 28 54 75

14-12/26

02 მარტი 2017 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

წარმოგიდგენთ განსახილველად საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტს ;

გთხოვთ დაიწყოს უმაღლესი საბჭოს მიერ ზემოაღნიშნული კანონპროექტის განხილვა და მოწონების შემდეგ განხორციელდეს საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენა.

პატივისცემით,
ელგუჯა ბაგრატიონი
ფრაქციის თავმჯდომარე

09-01-08/24
21 03 2017
10 დღისაა

09-02-11/662
1 9
02 03 2017

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. მოწონებული იქნას საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესატანი ცვლილებისა და დამატების თანდართული კანონპროექტი და საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარდგენილი იქნას განსახილველად საქართველოს პარლამენტში;

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

ჩაქვი

2017 წლის ------ მარტი

№ ----------

პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (მიღების თარიღი 05.02.2014წ) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 130-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტების ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

2. 130 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს 3^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე კანონმდებლობით დადგენილი წესით :

ა) კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტების აღსრულებას;

ბ) ამ კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ზედამხედველობას;

გ) ამ კოდექსის IX თავით დადგენილი წესით ქმნის საკონსულტაციო საბჭოს და უძღვება მის საქმიანობას;

დ) ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირების შემთხვევაში ახორციელებს სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას;

“

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

თბილისი,
2017 წლის
№

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე ორგანული კანონის პროექტზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა.) კანონპროექტის მიღების მიზეზები

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი»-ს 130-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №35 დადგენილების პირველი მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის დადგენილი წესით განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 6 თვითმმართველი ერთეული. დღეს მოქმედი კანონმდებლობა ართულებს მათ სამართლებრივ და დარგობრივ ზედამხედველობას, როგორც პროცედუარული ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი და დარგობრივი ზედამხედველობა უფრო ეფექტური და ქმედითი გახდება, თუ ეს ფუნქცია კანონით დადგენილი წესით დაეკისრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ შესაძლებელი იქნება თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული კონსულტაციები და რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მიიღონ ადგილზე, ოპტიმალურ ვადაში შესაძლებელი გახდება ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის როგორც სამართლებრივი ასევე დარგობრივი ზედამხედველობა.

გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ თვითმმართველ ერთეულებს აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გადაეცემათ ფინანსური სახსრები/დახმარებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როგორც სამართლებრივი ასევე დარგობრივი ზედამხედველობა განახორციელოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის როგორც სამართლებრივი ასევე დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტების თანახმად ცვლილება და დამატება შედის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საქმიანობის როგორც სამართლებრივი ასევე დარგობრივი ზედამხედველობის განხორციელებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

- კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

- კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

- კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

- კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

- კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ განხილული და მოწონებული იქნა კანონპროექტი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

- კანონპროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი გია აბულაძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №35

2016 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს განსაზღვრის თაობაზე

+

მუხლი 1

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 130-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების შესაბამისად:

ა) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის დადგენილი წესით განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა;

ბ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის საზღვრებში არსებული თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის №153 და „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის №154 დადგენილებები.

+

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 130-ე მუხლი

მუხლი 130. სამართლებრივი ზედამხედველობისა და დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოები

1. მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. მუნიციპალიტეტის მიერ მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარგობრივი ზედამხედველობის ორგანოა შესაბამისი სამინისტრო, რომლის უფლებამოსილების დელეგირებაც განხორციელდა კანონის შესაბამისად ან საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

ფრაქცია ,,ერთაინი ნაციონალური მოძრაობა"-ს

სხდომის ოქმი №

ქ. ბათუმი 02.03.2017 წ

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი, ფრაქციის წევრები: გიორგი დიასამიძე, გია აბულაძე.

დღის წესრიგი

1. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვა;
2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვა;

მომხსენებელი: გია აბულაძე

მომხსნებელმა წარმოადგინა კანონპროექტები და ისაუბრა მისი მიღების აუცილებლობაზე;

აზრი გამოთქვეს:
ელგუჯა ბაგრატიონმა აღნიშნა რომ მნიშვნელოვანია გაიზარდოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უფლებამოსილება და ადგილზე მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება, რაც აამაღლებს როგორც უმაღლეს საბჭოს, ასევე მთავრობისა და თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობას. აღნიშნულიდან გამომდინარე მხარს ვუჭერ წარმოდგენილ კანონპროექტებს;

გიორგი დიასამიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტები ხელს შეუწყობს უმაღლეს საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობას, მთავრობისა და თვითმმართველობის ორგანოების კოორდინირებულ მუშაობას;

მიღებული გადაწყვეტილებები

1. წარდგენილი იქნას აჭარის უმაღლეს საბჭოში საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების

შეტანის შესახებ კანონპროექტი განსახილველად და საკანონმდებლო ინიციატივის სახით საქართველოს პარლამენტში წარსადგენად;

2. წარდგენილი იქნას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ კანონპროექტი განსახილველად და საკანონმდებლო ინიციატივის სახით საქართველოს პარლამენტში წარსადგენად;

სხდომის თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი

უმაღლესი საბჭოს წევრები:

გია აბულაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

854-09-02-11-3-201703221653

ბაქვი

22/03/2017
N 854

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (რეგ.N09-01-08/24. 21.03.2017წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

854-09-02-11-3-201703221653

ბაქვი

22/03/2017
N 854

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (რეგ.N09-01-08/24. 21.03.2017წ.)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მაია ხაჯიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტი